ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2596791

ნომერი: AR1403606

თარიღი : 11.05.2016

გაცემის თარიღი : 16.05.2016

გაცნობის თარიღი : 17.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 9ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა კაპანაძე პ/ნ 01029008470
- ოცხელის ქ. #32

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, მოსკოვის გამზირი #9ა-ში, შ.პ.ს „კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #003/161), I კლასის ღობის მშენებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური”.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს „|კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები“-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.17.12.003.161. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან– რეგ. N 882015638710 11/11/2015წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, მოსკოვის გამზირი #9ა-ში, შ.პ.ს „კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიები“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #003/161), I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ ღობის მშენებლობ აუნდა განხორციელდეს N 01.17.12.003.161 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.